04/07/2022

მიტროპოლიტმა შიომ კიდევ ერთხელ დალოცა აბიტურიენტები და წარმატება უსურვა მათ ცხოვრების გზაზე.

2022 წლის 3 ივლისს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ აბიტურიენტები დალოცა.

მეუფე შიომ აბიტურიენტებს უწმინდესისა და უნეტარესის დალოცვა გადასცა, გამოცდების წარმატებით ჩაბარება, ნაყოფიერი სწავლა, შრომა, უფლის მცნებებით ცხოვრება უსურვა და ბრძანა:

,,გადმოგცემთ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევას... რა თქმა უნდა, გისურვებთ გამოცდების ჩაბარებას, გისურვებთ კარგად სწავლას, მაგრამ, ამასთანავე, როგორც დღევანდელ სახარებაში იყო ნათქვამი, უნდა გახსოვდეთ, რა არის მთავარი. აი, ეს საოცარი

სიტყვებია: ,,პირველად ეძიებდეთ ღმერთის სიმართლეს და ცათა სასუფეველს...” თითქოს რთული სიტყვებია, რომ არ იზრუნოთ, რა ჭამოთ და რა სვათ, სინამდვილეში, ეს არ ნიშნავს, რომ დაჯდე და არაფერი აკეთო, პირიქით, შრომისკენ მოგვიწოდებს უფალი. აქ საუბარია პრიორიტეტებზე – შენთვის რა არის უმთავრესი. როცა შენთვის უმთავრესია ღვთისმსახურება, მაშინ ამ ყველაფერსაც სხვანაირად უყურებ, იცვლება შენში დამოკიდებულება მატერიალურისადმი, სიმდიდრისადმი და ამ ყველაფრისადმი...”

მიტროპოლიტმა შეიმ კიდევ ერთხელ ილაპარაკა აბიტურიენტები და წარმატება უსურვა